თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4572539

ნომერი: AR1690154

თარიღი : 25.06.2019

გაცემის თარიღი : 05.07.2019

გაცნობის თარიღი : 07.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა ფავლენიშვილი პ/ნ 01020007386
- თბილისი, კ.ქუთათელაძის 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, ლუბლიანას ქ. №11–ში, შპს "ტრიდე უძრავი ქონება"-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კონდიციონერის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნე¬ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882019327156 06.05.2019 წ., საკადასტრო კოდი: № 01.13.02.010.042.02.01.508; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით, მესაკუთრის თანხმობა, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, სექტორი–დიდუბე, ლუბლიანას ქ. №11–ში, შპს "ტრიდე უძრავი ქონება"-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კონდიციონერის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ კონდიციონერის დანადგარის შემდგომი ფუნქციონირებისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ნორმატივები და უსაფრთხოების ნორმები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.